

მინიმალური ანგარიშით

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 21 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) - “ტორპედო” (ქუთაისი) 1:0 (0:0).

“დინამო”: ურუშაძე, დოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, გავაშელი.

“ტორპედო”: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, ებრალიძე, ჩხაიძე, ზარია (წვერავა), ერქომაიშვილი, ასითაშვილი, ვეკუა, ხაჭალია, ხერხაძე.

მსაჯი ნ. კრილოვი (კუიბიშევი).

პირდაპირ ვიტყვით: ერთობ უხერხულ დროს მოუხდათ ერთმანეთთან თამაში ჩვენს გუნდებს - “დინამოსა” და “ტორპედოს”. სტარტზე დანაკარგი ერთგვარად შეავსო 17 აპრილის გამარჯვებებმა როსტოვისა და ერევნის გუნდებთან, გუშინწინდელ მატჩში მარცხი კი კვლავ მძიმე მდგომარეობაში აყენებდა ერთ-ერთ მხარეს.

ეს გარემოება საგრძნობლად დაეტყო შეხვედრას, განსაკუთრებით მის პირველ ნახევარს. ორივე გუნდმა “გაყინა” თამაში. პირველი 15 წუთის განმავლობაში ვერც მასპინძლებმა, ვერც სტუმრებმა ვერ მიაღწიეს მეტოქის საჯარიმო მოედანს, ბურთი მოძრაობდა მინდვრის ცენტრში, “მოკლე დისტანციებზე და კარში დარტყმა არავის უფიქრია. თავდამსხმელები თითქოს ელოდნენ, როგორ გარდატეხას მოახდენდნენ შუა მინდორში ნახევარდაცვის მოთამაშეები, რა ახალ მანევრს მიაგნებდნენ ისინი საერთო ინიციატივის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ ასეთ მოლოდინს, ჩვენი აზრით, ფეხბურთის ენაზე პასიურობა ჰქვია.

ასე შენელებულად, კარიდან საკმაო დაშორებით მიმდინარეობდა მატჩი კარგა ხანს. მერე ისევ ნახევარმცველებმა (თბილისელებთან - კუტივაძემ და ასათიანმა, ქუთაისელებთან - ერქომაიშვილმა და ასიტაშვილმა) ითავეს მოპირდაპირე მეკარეთა მოსინჯვა და რემდენიმეჯერ დაარტყეს შორიდან, მაგრამ ეს არ იყო საგოლე მომენტები. მეკარეები ადგილზე იდგნენ და იოლად იღებდნენ ამ ბურთებს.

როცა თავდასხმა უმთავრესად მოთვალთვალის როლში გამოდის, ბრძოლას აკლია სიმწვავე, დამაბულობა და სანახაობრივი ინტერესი. სწორედ ასეთი იყო პირველი ტაიმი.

მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა თამაში შესვენების შემდეგ. რამდენიმე სწრაფი რეიდი შეასრულეს მეტრეველმა, გავაშელმა, იერიშებში ჩაერთვნენ კუტივაძე, ასათიანი, პეტრიაშვილი. ტორპედოელები კი ძირითადად ისევ ნახევარდაცვისა და დაცვის ხარჯზე იმყოფებოდნენ, რის შედეგადაც უპირატესობა თანდათან გადავიდა დინამოელთა მხარეს.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ქუთაისელთა თავდასხმის ლიდერზე - ხაჭალიაზე. იგი ახლა კარგ ფორმაშია, ცდილობს მაქსიმალური სარგებლობა მისცეს გუნდს, მაგრამ თითქმის ვერავითარ მხარდაჭერას ვერ პოულობს პარტნიორთა მხრივ. თუ ვეკუა ეპიზოდურად მაინც გამოდის მისი დამხმარის როლში, ხერხაძე აშკარად არიდებს თავს როგორც მოწინააღმდეგესთან ბრძოლას, ისე ხაჭალიასთან სიმძიმის თანაბრად გაყოფასაც. ჩვენ არაერთხელ გვინახავს ხერხაძე თავდასხმის სათავეში, როცა იგი ტორპედოელთა შეტევის ორგანიზატორად გვევლინებოდა და მთელ ჯაფას ახმარდა კოლექტივს, ამიტომ უფლებას ვაძლევთ ჩვენს თავს ახალგაზრდა ფეხბურთელს ვუსაყვედუროთ თავისი ძალების ასეთი გაუგებარი და გაუმართლებელი “ეკონომია”.

ქუთაისელთა წარუმატებლობაზე დიდი გავლენა მოახდინა ზარას სერიოზულმა ტრავმამ. მინდვრიდან მისი წასვლა ძალიან დაეტყო გუნდს.

გოლი, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა ამ მატჩში, 71-ე წუთზე იქნა გატანილი. ნოდია-გავაშელის კომბინაცია ახლოდან ძლიერი დარტყმით დაამთავრა მეტრეველმა.

ბ. ქორქია.

“ლელო”, 23 აპრილი, 1968 წ.